ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2023 | No. 4, 1-25

ISSN2667-9825(online)

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები, იუმორის სტილები და სუბიექტური ბედნიერება[1]

ანანო ბუზალაძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Attitudes toward death, Humor styles and Subjective happiness

Anano Buzaladze

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

[1] „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

ISSN2667-9825(online)

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს მიმართებების დადგენა სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებების ტიპებს, იუმორის სტილებსა და სუბიექტურ ბედნიერებას შორის. ასევე, შევეცდებით, დავადგინოთ, წინასწარმეტყველებს თუ – არა იუმორის პოზიტიური სტილები ადამიანის ბედნიერების ხარისხს. კვლევის ფარგლებში მოცემული კითხვარი შეავსო 305-მა მონაწილემ, რომელთა ასაკიც მერყეობდა 18-დან 35 წლამდე. მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგები, კერძოდ, სიკვდილის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება – ნეიტრალური მიმღებლობა, დადებითადაა დაკავშირებული იუმორის პოზიტიურ სტილებთან და სუბიექტურ ბედნიერებასთან. გაქცევის მიმღებლობა პოზიტიურადაა დაკავშირებული თვითგამანადგურებელ იუმორის სტილთან, მაგრამ უარყოფითი კავშირი აქვს აფილაციურ იუმორთან. სიკვდილის მიმართ შიში დადებით კორელაციას ავლენს როგორც თვითგამანადგურებელ, ასევე თვითგამაძლიერებელ იუმორთან. სიკვდილის თავიდან არიდება პოზიტიურ კავშირს ქმნის თვითგამაძლიერებელ იუმორთან და უარყოფითს – აგრესიულთან. უარყოფითი კორელაცია აღმოჩნდა თვითგამანადგურებელ იუმორის სტილსა და ბედნიერებას შორის. სიკვდილის მიმართ ნეიტრალური მიმღებლობა და სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა პოზიტიურადაა დაკავშირებული სუბიექტურ ბედნიერებასთან, ხოლო გაქცევის მიმღებლობა კი – უარყოფითად. ასევე, აღმოჩნდა, რომ სიკვდილის თავიდან არიდება დადებითად უკავშირდება სუბიექტურ ბედნიერებას. რეგრესიული ანალიზის მეშვეობით გამოვლინდა, რომ იუმორის პოზიტიური სტილები მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებენ სუბიექტურ ბედნიერებას.

საკვანძო სიტყვები: *სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები, იუმორის სტილები, სუბიექტური ბედნიერება*

ISSN2667-9825(online)

Abstract

The purpose of this study is to determine the relationships between types of attitudes toward death, humor styles and subjective happiness. Also, whether positive humor styles predict a person's happiness level. Within the framework of the research, this questionnaire was filled out by 305 participants, whose age ranged from 18 to 35 years. As a result of data analysis, statistically significant results were revealed, in particular, positive attitude towards death – neutral acceptance is positively related to positive humor styles and subjective happiness. Escape acceptance is positively related to self-defeating humor style but negatively related to affiliative humor. Fear of death is positively correlated with self-defeating and self-enhancing humor. Death avoidance is positively related with self-enhancing humor and negatively associated with aggressive humor. A negative correlation was found between self-defeating humor style and happiness. Neutral acceptance of death and approach acceptance are positively related with subjective happiness, whereas escape acceptance in negatively related. Regression analysis revealed that positive humor styles significantly predict subjective happiness.

Keywords*: Happiness, Humor styles, Attitudes toward death*

ISSN2667-9825(online)

შესავალი

იუმორის შესახებ თავისებურებების შესასწავლად კვლევები ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა და არც ახლა კარგავს აქტუალურობას, რადგან ადამიანები იუმორს ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ, ზოგი იუმორის დახმარებით ცხოვრებას უფრო „იმარტივებს“ და პოზიტიურად უყურებს ნეგატიურ მოვლენებს, ზოგი კი – საპირისპიროდ. სწორედ იუმორის გამოყენების ეს თავისებურებებია დამაფიქრებელი და უკვე 1980-იანი წლებიდან კვლევების უმეტესი ნაწილი ორიენტირებულია იუმორის პოტენციურ სასარგებლო ეფექტზე ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნაზე (Martin et al., 2003). იუმორის კვლევით განსაკუთრებით დაინტერესებულია პოზიტიური ფსიქოლოგია, კერძოდ, ისინი ფოკუსირებული არიან ხასიათის ისეთ ადაპტირებულ სიმტკიცეებზე, როგორიცაა: ოპტიმიზმი, რწმენა, გამბედაობა და, ასევე, იუმორი (Müller & Ruch, 2011). იუმორის პოზიტიური სტილები ისეთ ცვლადებთანაა დადებითად დაკავშირებული, როგორიცაა, მაგალითად, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა (Martin et al., 2003) და ხასიათის სიმტკიცეები (Edwards & Martin, 2014), ასევე, ეფექტური სტილები და ბედნიერება (Ford et al., 2014), ექსტრავერსია, კონტროლის შიდა ლოკუსი და მაღალი თვითშეფასება (Ford et al., 2016). რაც შეეხება ნეგატიური იუმორის სტილებს, ისინი პოზიტიურად მიემართებიან კოგნიტურ შეცდომებსა და დეპრესიას (Rnic et al., 2016), ასევე, შფოთვასა და ცუდ გუნება-განწყობილებას (Martin et al., 2003). შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოზიტიური და ნეგატიური იუმორის სტილის მქონე ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ გარემოსა და მომხდარ მოვლენებს. ადამიანების ცხოვრების ყოველდღიურობის ნაწილს შეადგენს იუმორის გამოყენება (Ford et al., 2016), შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ მოვლენებთან, პრობლემებთან და ფიქრებთან გასამკლავებლად იყენებდნენ იუმორს, როგორც დაბრკოლებების დაძლევის სტილს. სწორედ ასეთი მოვლენაა სიკვდილი, რომელსაც ადამიანი ხშირად აწყდება, საბოლოოდ ხომ, როგორც ფროიდი ამბობს: *„ყველა სიცოცხლის მიზანი სიკვდილია“* (Freud, 1920). ყველა ადამიანს გარკვეულწილად უწევს იფიქროს სიკვდილზე, მაგრამ ზოგი ამ ფიქრებს ირიდებს, ზოგს უბრალოდ ეშინია, სხვებისთვის კი უბრალოდ ცხოვრების ნაწილია. ასევე, დამაფიქრებელია, სიკვდილის მიმართ პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულებების მქონე ტიპები იუმორის რომელ სტილს იყენებენ. არსებობს კვლევები, რომელთა თანახმადაც, აღმოჩნდა, რომ სიკვდილის მიმართ ნეიტრალური მიმღებლობის მქონე ადამიანები, სხვა სიტყვებით, ადამიანები, ვისთვისაც სიკვდილი უბრალოდ ცხოვრების ნაწილია, იყენებდნენ იუმორს, როგორც ნეგატივის დაძლევის სტილს, ხოლო ადამიანებს, რომელთაც სიკვდილის მიმართ ფიქრების თავიდან არიდება (ნეგატიური დამოკიდებულება) ახასიათებდათ, აღმოაჩნდათ იუმორის დაბალი დონე (Oker et al., 2022). შედარებით ძველია ო'კონელის კვლევა, რომელშიც იუმორის გამოყენება დაკავშირებული იყო სიკვდილის მიმართ შიშის დაბალ დონესთან (O'connell et al., 1968). შესაბამისად, იუმორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს და ამ ბედნიერებას რა უწყობს ხელს. ფორდის კვლევის მიხედვით, პოზიტიური იუმორის სტილი

ISSN2667-9825(online)

წინასწარმეტყველებს სუბიექტურ ბედნიერებას (Ford et al., 2016), ცხადია, პოზიტიური იუმორის სტილის გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის ბედნიერების აღქმას. აღსანიშნავია, ისიც, რომ ადამიანებს, ვისაც სიკვდილის მიმართ ნეიტრალური და მოახლოების მიმღებლობა ახასიათებთ, აღმოაჩნდათ ბედნიერების მაღალი დონე, ხოლო ნეგატიური დამოკიდებულებებისა და გაქცევის მიმღებლობის მქონეებს – უიმედობა და თავს უბედურ ადამიანებად გრძნობდნენ (Gesser et al., 1988), შესაბამისად, გამოდის, რომ ბედნიერება უკავშირდება, როგორც იუმორის პოზიტიურ სტილებს, ისე სიკვდილის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებებს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებების, იუმორისა და სუბიექტური ბედნიერების მიმართებების შესწავლა. შესაბამისად, კვლევა მიზნად ისახავს, პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: არსებობს თუ – არა კავშირი სიკვდილის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებებს, იუმორის პოზიტიურ სტილებსა და ბედნიერებას შორის; როგორ არის დაკავშირებული იუმორის ნეგატიური სტილები და სიკვდილის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებები; რა მიმართებაა გაქცევის მიმღებლობასა და იუმორის პოზიტიურ სტილს შორის; არსებობს თუ – არა კავშირი იუმორის სტილებსა და ბედნიერებას შორის; როგორ არის დაკავშირებული სიკვდილის მიმართ პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულებები ბედნიერებასთან და არის თუ – არა ნეგატიური კავშირი გაქცევის მიმღებლობასა და ბედნიერებას შორის; აქვს თუ – არა იუმორის პოზიტიურ სტილებს ბედნიერების პრედიქტორული ღირებულება.

კვლევის ჰიპოთეზები:

1.თუ ინდივიდს აქვს იუმორის რომელიმე პოზიტიური სტილი, მაშინ მისი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ იქნება პოზიტიური, გარდა სიკვდილის მიმართ გაქცევის მიმღებლობისა, და, ასევე, დადებითად დაუკავშირდება სუბიექტურ ბედნიერებას.
2. გაქცევის მიმართ მიმღებლობა უარყოფითად დაუკავშირდება პოზიტიური იუმორის სტილს, მაგრამ დადებითი მიმართება გამოვლინდება ნეგატიური იუმორის სტილთან.
3. თუ ინდივიდს აქვს იუმორის რომელიმე ნეგატიური სტილი, მაშინ მისი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ იქნება ნეგატიური.
4. თუ ინდივიდი იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში იუმორის პოზიტიურ სტილს, მაშინ მისი სუბიექტური ბედნიერების აღქმა გაიზრდება.
5. თუ ინდივიდი იყენებს რომელიმე ნეგატიური იუმორის სტილს, მაშინ მისი სუბიექტური ბედნიერების დონე იქნება დაბალი.
6. სიკვდილის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებები, გარდა გაქცევის მიმღებლობისა, დადებითად უკავშირდება სუბიექტურ ბედნიერებას, ხოლო გაქცევის მიმღებლობას უარყოფითად.
7. სიკვდილის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებები უარყოფითადაა დაკავშირებული სუბიექტურ ბედნიერებასთან.

ISSN2667-9825(online)

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები

სიკვდილი კაცობრიობისთვის რჩება როგორც ყველაზე დიდ საფრთხედ, ასევე ყველაზე დიდ გამოწვევად. ყველა ცოცხალი ორგანიზმი კვდება, არ არსებობს გამონაკლისი. ადამიანებს შეუძლიათ მოახდინონ სიცოცხლისა და სიკვდილის მნიშვნელობის რეფლექსია, ეს კი ქმნის დამატებით ეგზისტენციალურ შფოთვას. სიკვდილთან არის მიბმული ფსიქოლოგიის, სულიერების, სოციალური და კულტურული მნიშვნელობების მრავალფეროვნება (Wong et al., 2008). მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ სიკვდილის მიმართ სულ მცირე ხუთი განსხვავებული ტიპის დამოკიდებულების იდენტიფიცირებაა შესაძლებელი (Clements & Rooda, 2000). ვონგთან, რეკერთან და გესერთან ეს ტიპებია: სიკვდილის შიში, სიკვდილის თავიდან აცილება, სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა, გაქცევის მიმღებლობა და ნეიტრალური მიმღებლობა. ნეგატიურ დამოკიდებულებებში სიკვდილის შიში და სიკვდილის თავიდან აცილება მოიაზრება. 1. სიკვდილის შიში არის ნეგატიური აზრები და გრძნობები სიკვდილის საკითხთან და სიკვდილის პროცესთან დაკავშირებით. 2. სიკვდილის თავიდან აცილება გულისხმობს, რომ ადამიანი თავს არიდებს სიკვდილზე ფიქრს და მასზე ლაპარაკს, რადგან შეიმციროს სიკვდილის შფოთვა. ხოლო სიკვდილის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებებში შემდეგი ცვლადებია: ნეიტრალური მიმღებლობა, სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა და გაქცევის მიმღებლობა. 3. ნეიტრალური მიმღებლობაა სიკვდილისადმი, როგორც რეალობისადმი, ხედვა, რომელიც არც საშიშია და არც მისასალმებელი. 4. სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა გულისხმობს, რომ სიკვდილი არის კარიბჭე შემდგომი პერიოდის ახალი ბედნიერი ცხოვრებისა. დაბოლოს, 5. გაქცევის მიმღებლობა, რომელიც ხედვაა სიკვდილის, როგორც მტკივნეული ცხოვრებისგან თავის დაღწევის საშუალების. ეს უკანასკნელი პოზიტიურ დამოკიდებულებებში იმიტომ შედის, რომ ამ ტიპის ადამიანი ეფექტურად ვეღარ უმკლავდება ცხოვრებისეულ ტკივილსა და პრობლემებს, ხსნაა მისთვის სიკვდილი (Wong et al., 1994).

ზემოთ აღნიშნულ ხუთივე სიკვდილის მიმართ დამოკიდებულების ტიპს აქვს ურთიერთმიმართება სხვა ფსიქოლოგიურ ცვლადებთან. მაგალითად, ოკერის კვლევაში სიკვდილის მიმართ შიში და გაქცევის მიმღებლობა მნიშვნელოვან დადებით კავშირშია და წინასწარმეტყველებს სტრესს. გაქცევის მიმღებლობა პოზიტიურადაა დაკავშირებული დეპრესიასთან. ასევე, სიკვდილის მიმართ შიში, სიკვდილისგან თავის არიდება და გაქცევის მიმღებლობა პოზიტიურად უკავშირდება პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას, სიკვდილის თავიდან აცილება დადებითად იყო დაკავშირებული უარყოფასთან და ქცევით გათიშვასთან და უარყოფითად იყო დაკავშირებული მიმღებლობის დაძლევის სტილებთან. სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა დადებითად იყო დაკავშირებული ემოციურ მხარდაჭერასთან და რელიგიასთან (Oker et al., 2022). სიკვდილის მიმართ შიში და სიკვდილის თავიდან არიდება უარყოფით კავშირშია ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან, ხოლო ნეიტრალური და სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა პირიქით – დადებითად. გაქცევის მიმღებლობა უარყოფითად უკავშირდება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას (Wong et al., 1994).

ISSN2667-9825(online)

კვლევა მიზნად ისახავს, დაადგინოს კავშირი სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებებს, იუმორის სტილებსა და სუბიექტურ ბედნიერებას შორის. რომელი ტიპი რომელ სტილს უკავშირდება და აქვს თუ არა ერთს მეორის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა. რადგან სიკვდილის მიმართ შიში და სიკვდილის თავიდან არიდება კარგად ყოფნასთან უარყოფითადაა დაკავშირებული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სუბიექტურ ბედნიერებასთანაც უარყოფით კავშირს გამოავლენს.

იუმორი

იუმორი არის კონტექსტუალური ფენომენი, რომელიც არსებობს ყველა საზოგადოებაში (Kim & Plester, 2019). მარტინმა გამოყო როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური იუმორის სტილი. ესენია: აფილაციური, თვითგამაძლიერებელი, აგრესიული და თვითგამანადგურებელი იუმორი. პოზიტიურ სტილში აფილაციური და თვითგამაძლიერებელი იუმორი მოიაზრება. 1. აფილაციური იუმორია სასაცილო ამბებისა და ხუმრობების თქმა, სპონტანური მახვილგონივრული ხუმრობებისადმი მიდრეკილება სხვების გასართობად, ურთიერთობების გასაადვილებლად და ინტერპერსონალური დაძაბულობის შესამცირებლად. 2. თვითგამაძლიერებელი იუმორია ცხოვრებისეული შეუთავსებლობებით ხშირად გართობა, იუმორისტული პერსპექტივის შენარჩუნება სტრესის ან უბედურების დროსაც კი და იუმორის გამოყენება ემოციების რეგულირების მექანიზმად. ნეგატიური იუმორის ტიპებია აგრესიული და თვითგამანადგურებელი. 1. აგრესიულია, როდესაც იუმორი გამოიყენება სხვების კრიტიკის და მანიპულაციის მიზნით, როგორიცაა, სარკაზმი, გამოწვევა, დაცინვა ან დამამცირებელი იუმორი. 2. თვითგამანადგურებელი ტიპი მოიაზრებს სხვების გამხიარულებას, საკუთარი თავის დამცირების ხარჯზე, სასაცილო რაღაცების კეთებით, ეს არის ზედმეტად საკუთარი თავის შეურაცხმყოფელი იუმორი და სხვებთან ერთად სიცილი, როცა დაგცინიან ან გამცირებენ (Chen & Martin, 2007).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იუმორი მრავალმხრივი კონსტრუქტია და ლოგიკურიცაა, რომ მასთან ბევრი ცვლადი კორელირებს და უკავშირდება. მარტინთან აფილაციური ტიპი ყველაზე მეტად დაკავშირებულია ექსტრავერსიასთან, ისევე როგორც გამოცდილებისადმი ღიაობასთან. ის ასევე დადებითად არის დაკავშირებული მხიარულებასთან, თვითშეფასებასთან, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან და უარყოფითად დაკავშირებულია დეპრესიასთან, შფოთვასთან და ცუდ გუნებასთან. თვითგამაძლიერებელი ტიპის იუმორი ყველაზე ახლოსაა დაძლევის მექანიზმების ტიპის იუმორთან. აგრესიული ტიპის კორელაციაშია ნევროტიზმთან, აგრესიასთან და მტრულობასთან. თვითგამანადგურებელი ასევე ნევრტოიზმთან, დეპრესიასთან, შფოთვასთან, ცუდ განწყობილებებთან (Martin et al., 2003). ელვარდისა და მარტინის კვლევაში თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილი პოზიტიურად და თვითგამანადგურებელი იუმორი უარყოფითად არის ყველაზე მეტად დაკავშირებული ემოციურ კეთილდღეობასთან (Edwards & Martin, 2014).

ISSN2667-9825(online)

აღნიშნული კვლევებიდან ჩანს, რომ იუმორი უკავშირდება მრავალ ცვლადს და შეუძლია მათი წინასწარმეტყველება. იუმორსაც აქვს პოზიტიური და ნეგატიური სტილები და ასევე სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები. იუმორის პოზიტიური სტილიდან თვითგამაძლიერებელი სტილი იყენებს დაძლევის მექანიზმებს, როგორც სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებების პოზიტიური ტიპები, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, პოზიტიურ იუმორის სტილებსა და სიკვდილის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებებს შორის კავშირზე. თვითგამანადგურებელი იუმორი კორელირებს ცუდ განწყობილებებთან, რაც შესაძლებელს ხდის, რომ ნეგატიურ კორელაციაში იყოს ბედნიერებასთან. ასევე იუმორის ნეგატიური ტიპები დაკავშირებულია შფოთვასთან, რაც სიკვდილის მიმართ შიშისთვისაც დამახასიათებელია, ეს ყოველივე კი, მათ შესაძლო კავშირს ამყარებს.

ბედნიერება

ზოგიერთი ადამიანი თავს ბედნიერად მიიჩნევს პირადი დაბრკოლებების, ტრაგედიის, დიდი სიყვარულის ან სიმდიდრის ნაკლებობის მიუხედავად, ზოგი კი თავს უბედურად აღიქვამს, მიუხედავად იმისა, რომ გარშემორტყმულია ცხოვრებისეული კომფორტითა და უპირატესობებით. ლიუბომირსკის სუბიექტური ბედნიერების სკალის შექმნამდე, სამეცნიერო ლიტერატურას აკლდა „სუბიექტური ბედნიერების“ საზომი – ეს არის გლობალური, სუბიექტური შეფასება იმისა, ადამიანი ბედნიერია თუ – უბედური. სუბიექტური ბედნიერების სკალა დაკავშირებულია ბედნიერებასთან და კარგად ყოფნასთან (Lyubomirsky & Lepper, 1999).

ლიუბომირსკისა და ტუკერის კვლევაში ბედნიერი და უბედური ადამიანები ერთმანეთის მსგავს მოვლენებს განსხვავებულად განიცდიან და ფიქრობენ. გარდამავალი განწყობა არ თამაშობს კრიტიკულ როლს, როგორ რეაგირებენ ადამიანები ცხოვრებისეულ მოვლენებზე. ბედნიერი ადამიანები გამოხატავენ პოზიტიური განწყობილების უფრო მაღალ დონეს, ვიდრე – უბედურები (Lyubomirsky & Tucker, n.d. 1998). იმედი მნიშვნელოვნად დადებითად უკავშირდება სუბიექტურ ბედნიერებას (Sariçam, 2015). თვითშეფასება კი წინასწარმეტყველებს სუბიექტურ ბედნიერებას (Ford et al., 2016).

თუ ბედნიერი და უბედური ადამიანები სხვდასხვაგვარად აღიქვამენ ერთნაირ მოვლენებს, ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს კვლევაში ინდივიდებს განსხვავებული დამოკიდებულება ექნებათ სიკვდილის მიმართ და იუმორს გამოიყენებენ როგორც პოზიტიურ სტილს.

ISSN2667-9825(online)

ბედნიერება და იუმორი

ვარაუდობენ, რომ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მაღალი ექსტრავერსია, კონტროლის შიდა ლოკუსი, ოპტიმიზმი და თვითშეფასება, გამოიყენებენ პოზიტიური იუმორის სტილს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათს ბედნიერებას (Ford et al., 2016). აფილაციური და თვითგამაძლიერებელი იუმორი დადებითად და მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებს ბედნიერებას, ხოლო აგრესიული და თვითგამანადგურებელი იუმორის სტილი ნეგატიურად უკავშირდება ბედნიერებას (Emmanuel Mabia et al., 2021). როდესაც ადამიანი იუმორის პოზიტიურ სტილებს იყენებს, გასაკვირი არაა, რომ ის სუბიექტურად ბედნიერი იყოს, მხიარული ადამიანები აფილაციურ სტილს იყენებენ და არიან სუბიექტურად ბედნიერები, ჩვენი კვლევის მიზანიც არის პოზიტიურ სტილებსა და ბედნიერებას შორის დადებითი კავშირის დადგენა.

ბედნიერება და სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები

გესერის კვლევაში შიში სიკვდილის შესახებ ნეგატიურად უკავშირდება ბედნიერებას და დადებით კავშირშია უიმედობასთან. გაქცევაზე ორიენტირებული მიმღებლობაც დადებით კავშირშია უიმედობასთან. ნეიტრალური მიმღებლობა არ უკავშირდება უიმედობას, მაგრამ დადებით კავშირშია ბედნიერებასთან (Gesser et al., 1988). ჩვენი კვლევის მიზანია, რომ დაადგინოს სიკვდილის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებების უარყოფითი კავშირი და პოზიტიური დამოკიდებულებების დადებითი კავშირი ბედნიერებასთან.

იუმორი და სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები

ოკერის კვლევაში ნეიტრალური მიმღებლობა დადებითად იყო დაკავშირებული იუმორთან (როგორც დაძლევის მექანიზმთან), სიკვდილის თავიდან აცილება დადებითად იყო დაკავშირებული თვითგანადგურებასთან, ინფორმაციულ მხარდაჭერასთან და საკუთარი თავის დადანაშაულებასთან, ხოლო უარყოფითად იყო დაკავშირებული იუმორთან. გაქცევის მიმღებლობა დადებითია უარყოფისა და იუმორის მიმართ (Oker et al., 2022). სიკვდილის იუმორს აქვს როგორც თავდაცვის მექანიზმი, ასევე, ეხმარება ადამიანებს გარკვეული კონტროლის გრძნობა მოიპოვონ უკონტროლო სიტუაციაში (Thorson, 1985).

შესაძლოა, იუმორმა პროგნოზირება მოახდინოს, თუ როგორი სიკვდილის მიმართ დამოკიდებულება ექნება ადამიანს. თუ ადამიანი იყენებს დაცვის მექანიზმად იუმორს, ის

ISSN2667-9825(online)

სიკვდილსაც ამ დაცვის მექანიზმის საშუალებით შეხედავს, რაც გამოიწვევს მის პოზიტიურ დამოკიდებულებას სიკვდილის მიმართ.

მეთოდი

მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 305-მა ინდივიდმა, აქედან 223 (73.1%) მდედრობითი და 82 (26.9%) მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მინიმალურ ასაკად განისაზღვრა 18 წელი და მაქსიმალურად – 35, აქედან ყველაზე მეტი 21 წლის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას (18.4%) და ყველაზე ნაკლები – 35 წლის (.7%). კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას ჰქონდა უმაღლესი განათლება მიღებული (48.2%). მონაწილეები შეირჩა ხელმისაწვდომობის პრინციპით.

ინსტრუმენტი

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები Wong, P.T.P., Reker, G.T., & Gesser, G. (1994) (გამოყენებულია კითხვარის სამუშაო ვერსია).

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებების გასაზომად გამოყენებულია Death Attitude Profile-Revised (DAP-R) სკალა. ინსტრუმენტი შეიცავს 32 დებულებას და ზომავს სიკვდილის მიმართ ხუთი ტიპის დამოკიდებულებას და გამოყოფილია შესაბამისი ხუთი სუბსკალა, კერძოდ: სიკვდილის მიმართ შიში (7 დებულებისგან შედგება) („სიკვდილის ძლიერი შიში მაქვს“), სიკვდილის თავიდან არიდება (5 დებულება) („ზოგადად, სიკვდილზე ფიქრს ვერიდები“), ნეიტრალური მიმღებლობა (5 დებულება) („სიკვდილის არც მეშინია და არც მივესალმები“), სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა (10 დებულება) („ერთადერთი რამ, რაც სიკვდილზე ფიქრისას მამშვიდებს, სიკვდილის შემდგომ სიცოცხლის რწმენაა“) და გაქცევის მიმღებლობა (5 დებულება) („სიკვდილს აღვიქვამ ამქვეყნიური ტანჯვისგან თავის დაღწევის გზად“). თითოეული დებულება ფასდება ლიკერტის ერთიდან შვიდამდე სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 7 – „სრულიად ვეთანხმები“ (Wong et al., 1994).

ISSN2667-9825(online)

იუმორის სტილები Martin, Puhlik-Doris, Larsen, Gray, and Weir, 2003 (ქართული ვერსია: მ.იაშვილი, მ.რევიშვილი, ხ. მარწყვიშვილი, 2018).

იუმორის სტილების გასაზომად გამოყენებული იყო Humor style questionnaire (HSQ) სკალა. ინსტრუმენტი შეიცავს 32 დებულებას და ზომავს იუმორის ოთხ სტილს, რომლებიც გამოყოფილია ოთხი სუბსკალით და თითო სუბსკალა შეიცავს 8 დებულებას, ესენია: აფილაციური იუმორი („დიდი ძალისხმევა არ მჭირდება სხვების გასაცინებლად, ეს ბუნებრივად გამომდის"), თვითგამაძლიერებელი იუმორი („თუ ნაწყენი ან უბედური ვარ, როგორც წესი, ვცდილობ, მოვიფიქრო რაიმე სასაცილო ამ სიტუაციის შესახებ, რათა თავი უკეთ ვიგრძნო"), აგრესიული იუმორი („როდესაც ვხუმრობ ან სასაცილო რამეს ვამბობ, როგორც წესი, მაინცდამაინც არ ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ მიიღებენ სხვა ადამიანები ჩემს ხუმრობას") და თვითგამანადგურებელი იუმორი („ხშირად ვცდილობ, თავი მოვაწონო ადამიანებს და გავხდე მათთვის მისაღები ჩემს სისუსტეებსა და შეცდომებზე ხუმრობით"). ასევე ამ სკალაშიც თითოეული დებულება ფასდება ლიკერტის ერთიდან შვიდამდე სკალით, რომელზეც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები", ხოლო 7 – „სრულიად ვეთანხმები" (Martin et al., 2003).

სუბიექტური ბედნიერება Lyubomirsky, S. & Lepper, H. S. (1999). (კვლევაში გამოყენებულია კითხვარის სამუშაო ვერსია)

სუბიექტური ბედნიერების გასაზომად გამოყენებული იყო SUBJECTIVE HAPPINESS SCALE (also known as General Happiness Scale). სკალა შეიცვს ოთხ დებულებას („ჩემი თანატოლების უმეტესობასთან შედარებით მე თავს ვთვლი" – …) და ზომავს სუბიექტურ ბედნიერებას, აგრეთვე, აქაც გამოყენებული იყო ლიკერტის სკალა, რომელზეც თითოელი დებულება ფასდება ერთიდან შვიდამდე სკალით (Lyubomirsky & Lepper, 1999).

პროცედურა

მონაწილეებს კითხვარი წარედგინათ ელექტრონულად, Google Forms-ის ფორმატში. კითხვარები შეივსო ონლაინ. კვლევაში მონაწილეობა იყო კონფიდენციალური. კვლევაში მონაწილეობისთვის არ იყო განსაზღვრული ფულადი კომპენსაცია ან სხვა ნებისმიერი სახის ჯილდო.

ISSN2667-9825(online)

შედეგები

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკის მეთოდები, კერძოდ, საშუალო (M) და სტანდარტული გადახრა (SD), ხოლო დასკვნითი სტატისტიკის მეთოდებიდან – კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

ცხრილი N1. აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებლები

	N	M	α	SD
DAP-R				
სიკვდილის მიმართ შიში	**7**	**27.96**	**.88**	**11.2**
სიკვდილის თავიდან არიდება	**5**	**19.4**	**.91**	**9.1**
ნეიტრალური მიმღებლობა	**5**	**27.8**	**.68**	**5.4**
სიკვდილის მოახლოების მიმღებლობა	**10**	**32.19**	**.88**	**13.5**
გაქცევის მიმღებლობა	**5**	**13.9**	**.86**	**8**
HSQ				
აფილაციური იუმორი	**8**	**42.7**	**.75**	**8.5**
თვითგამაძლიერებელი იუმორი	**8**	**34.18**	**.8**	**10.5**
აგრესიული იუმორი	**8**	**24.8**	**.71**	**8.7**
თვითგამანადგურებელი იუმორი	**8**	**25.4**	**.79**	**10.1**
სუბიექტური ბედნიერება	**4**	**17.4**	**.67**	**4.9**

ISSN2667-9825(online)

სქესთა შორის განსხვავება

ცალკეული სკალების შედარების საფუძველზე გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება სქესის მიხედვით, კერძოდ:

სიკვდილის მიმართ შიშის სკალის მაჩვენებელი უფრო მაღალი აღმოჩნდა ქალებთან (M=4.2; SD=1.6), ვიდრე – კაცებთან (M=3.2; SD=1.3), t(303)=4.9, p=.000.

სიკვდილის თავიდან არიდების სკალის მაჩვენებლის მიხედვით, უფრო მაღალი ქულები გამოვლინდა ქალებთან (M=4.1; SD=1.8), ვიდრე – კაცებთან (M=3.3; SD=1.5), t(303)=3.3, p=.001.

აგრესიული იუმორის სტილის სკალაზე მიღებული მაჩვენებლის მიხედვით, კაცებთან უფრო მაღალი ქულა დაფიქსირდა (M=3.5; SD=1.1), ვიდრე – ქალებთან (M=2.9; SD=1), t(303)=-4.6, p=.000.

კორელაციური ანალიზი

იუმორის სტილი და სიკვდილის მიმართ დამოკიდებულება

მონაცემთა კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა კავშირები სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებებსა და იუმორის სტილებს შორის, კერძოდ:

როგორც მოსალოდნელი იყო, ნეიტრალური მიმღებლობა სუსტ კორელაციაშია აფილაციურ (r=.12, p<.05) და თვითგამაძლიერებელ (r=.2, p<.01) იუმორის სტილთან. რაც იმას ნიშნავს, რომ ნეიტრალური მიმღებლობის მაღალი მაჩვენებელი უკავშირდება აფილაციური და თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილების მაღალ მაჩვენებელს და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

სუსტი სიძლიერის კორელაცია გამოვლინდა სიკვდილის მიმართ შიშსა და თვითგამაძლიერებელ (r=.15, p<.01) და თვითგამანადგურებელ (r=.15, p<.01) იუმორის სტილებს შორის.

ასევე, სუსტი კორელაციაა სიკვდილის თავის არიდებასა და თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილს შორის (r=.13, p<.05) და სუსტი ნეგატიური კავშირია აგრესიულ იუმორთან (r=-.13, p<.05).

ISSN2667-9825(online)

გამოვლინდა, რომ გაქცევის მიმღებლობა უარყოფით სუსტ კორელაციაშია აფილაციურ იუმორთან (r=-.18, p<.01) და დადებით სუსტ კორელაციაშია თვითგამანადგურებელ იუმორთან (r=.17, p<.01).

ცხრილი N2. კორელაციები იუმორის სტილებსა და სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებებს შორის

	აფილაციური	თვითგამაძლიერებელი	აგრესიული	თვითგამანადგურებელი
გაქცევის მიმღებლობა	*-.18***	*-.08*	*.03*	*.17***
ნეიტრალური მიმღებლობა	*.12**	*.2***	*-.06*	*.03*
მოახლოების მიმღებლობა	*-.01*	*.01*	*-.09*	*.1*
თავიდან არიდება	*.1*	*.13**	*-.13**	*.04*
შიში	*.07*	*.15***	*.06*	*.15***

** p ≤ .01; * p ≤ .05*

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები და ბედნიერება

მონაცემთა კორელაციური (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) ანალიზის შედეგად დადგინდა კავშირები სუბიექტურ ბედნიერებასა და სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებებს შორის, კერძოდ:

სუსტი პოზიტიური კავშირები გამოვლინდა სუბიექტურ ბედნიერებასა და სიკვდილის თავის არიდებას შორის (r=.13, p<.05), ნეიტრალურ მიმღებლობასა (r=.18, p<.05) და სიკვდილის მოახლოების მიმღებლობას შორის (r=.13, p<.05), ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი უარყოფითი საშუალო სიძლიერის კორელაცია აღმოჩნდა გაქცევის მიმღებლობასთან (r=-.37, p<.01).

ISSN2667-9825(online)

ცხრილი N3. კორელაციები სუბიექტურ ბედნიერებასა და სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებებს შორის

	სუბიექტური ბედნიერება
გაქცევის მიმღებლობა	***-.37***
ნეიტრალური მიმღებლობა	***.13****
მოახლოების მიმღებლობა	***.13****
თავიდან არიდება	***.13****
შიში	***-.01***

*** p ≤ .01; * p ≤ .05*

იურმორი და ბედნიერება

მონაცემთა კორელაციური (პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი) ანალიზის შედეგად დადგინდა კავშირები სუბიექტურ ბედნიერებასა და იუმორის სტილებს შორის, კერძოდ:

სუსტი სიძლიერის კორელაცია გამოვლინდა სუბიექტურ ბენიდერებასა და აფილაციურ (r=.25, p<.01) და თვითგამაძლიერებელ (r=.29, p<.01) იუმორის სტილებს შორის, ასევე, სუსტი უარყოფითი კავშირია სუბიექტურ ბედნიერებასა და თვითგამანადგურებელ იუმორის სტილს შორის (r=-.13, p<.05).

ცხრილი N4. კორელაციები იუმორის სტილებსა და სუბიექტურ ბედნიერებას შორის

	აფილაციური	თვითგამაძლიერებელი	აგრესიული	თვითგამანადგურებელი
სუბიექტური ბედნიერება	***.25***	***.29 ***	***-.05***	***-.13****

*** p ≤ .01; * p ≤ .05*

ISSN2667-9825(online)

რეგრესიული ანალიზი

მონაცემთა რეგრესიულმა ანალიზმა (სტანდარტული, მრავლობითი რეგრესია) აჩვენა, რომ პოზიტიური იუმორის სტილების კომბინაციის მოდელი ხსნის სუბიექტური ბედნიერების მონაცემთა ვარიაბელობის 10.4%-ს, $R^2ADJ=.09$ $F(2,302)=17.5$, $p<.01$. აღნიშნული მოდელიდან აფილაციური იუმორის სტილიც და თვითგამაძლიერებელიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორია სუბიექტური ბედნიერებისა, მაგრამ ბეტაზე დაკვირვების მეშვეობით გამოვლინდა, რომ თვითგამაძლიერებელი ($\beta=.22$, $p< .01$) იუმორის სტილი აფილაციური ($\beta=.14$, $p<.05$) იუმორის სტილზე მეტად ხსნის ბედნიერების ცვალებადობას მაშინ, როდესაც მოდელში შემავალი სხვა ცვლადების გავლენა გაკონტროლებულია.

ცხრილი N5. რეგრესია იუმორის პოზიტიურ სტილებსა და სუბიექტურ ბედნიერებას შორის

	სუბიექტური ბედნიერება		
	B	*SE*	*β*
აფილაციური იუმორის სტილი	.17	.07	.14*
თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილი	.21	.05	.22**
R^2		.14	
F		17.5**	

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

შედეგების განხილვა

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები და იუმორი

კვლევის ფარგლებში ჩატარებული კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სიკვდილის მიმართ ნეიტრალური მიმღებლობის დამოკიდებულების მქონე ადამიანი იყენებს აფილაციური *(r=.12, n=305, p<.05)* და თვითგამაძლიერებელი *(r=.2, n=305, p<.01)* იუმორის სტილს. კერძოდ, ნეიტრალური მიმღებლობის მქონე ადამიანი სიკვდილს უყურებს როგორც უბრალოდ ცხოვრების ნაწილს, რომელიც არც საშიშია და არც მისასალმებელი, ხოლო იუმორს იყენებს სხვების გასამხიარულებლად და ადამიანებთან კავშირების ჩამოსაყალიბებლად. ესეთი ადამიანი ინარჩუნებს იუმორის გრძნობას სტრესის პირობებში და პრობლემას მისი საშუალებით

ISSN2667-9825(online)

უმკლავდება, შეუძლია ემოციების რეგულირება (Martin et al., 2003). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდივიდს სიკვდილის შესახებ ემოციების კონტროლი უადვილდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ნეიტრალური მიმღებლობა შესაძლოა, იყენებდეს პოზიტიური იუმორის სტილებს, როგორც დაძლევის მექანიზმებს, ამ ვარაუდს ამყარებს თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილის ბუნება, კერძოდ, მისი მსგავსება იუმორის დაძლევის სტილთან (Martin et al., 2003). ილმაზისა და ტუნკერის კვლევაში იუმორის, როგორც დაძლევის მექანიზმის და სიკვდილის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების დადებითი კავშირი დადასტურდა (Yılmaz & Tuncer, 2021).

კვლეაში მოულოდნელი შედეგი აღმოჩნდა სიკვდილის ნეგატიურ დამოკიდებულებებს, კერძოდ, სიკვდილის მიმართ შიშსა და სიკვდილის თავიდან არიდებას და თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილს შორის. გამოვლინდა, რომ სიკვდილის მიმართ შიშის *(r=.15, n=305, p<.01)* და თავიდან არიდების *(r=.13, n=305, p<.05)* მაღალი დონე დაკავშირებულია თვითგამაძლიერებელი იუმორის მაღალ დონესთან. ეს ყოველივე შესაძლოა თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილის თვისებიდან გამომდინარეობდეს, კერძოდ, მისი მეშვეობით ადამიანს შეუძლია „ცუდი“ ფიქრების უკუგდება და ჩანაცვლება რაიმე უფრო „კარგით“, ნებისმიერ სიტუაციაში თავის გამხიარულება და განწყობილების შენარჩუნება, სიკვდილის მიმართ შიშის და თავიდან არიდებისას ადამიანი სიკვდილის შესახებ ფიქრებს გაურბის, შესაბამისად, თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილი, ამ შემთხვევაში, სიკვდილის შესახებ ფიქრებს ანაცვლებს რაიმე უფრო პოზიტიურით, რითიც ირიდებს სიკვდილის შესახებ ფიქრებს. აქვე, აღსანიშნავია სიკვდილის თავიდან ამრიდებლის ბუნება, კერძოდ, ამ ტიპის ადამიანებს შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეთ ცხოვრების მიმართ ნეგატიური აზრები და დამოკიდებულებები, უბრალოდ სიკვდილის შესახებ ფიქრები იწვევს მათში დისკომფორტს და ყველანაირად ცდილობენ, დაუსხლტდნენ ხელიდან მათ (Wong et al., 1994), ამისთვის კი შესაძლოა, თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილსაც იყენებდნენ.

აღსანიშნავია ასევე, მოსალოდნელი შედეგი სიკვდილის მიმართ შიშსა და თვითგამანადგურებელ *(r=.15, n=305, p<.01)* იუმორს შორის დადებით კავშირზე. ადამიანები, რომელთა შიშის გრძნობა გამოწვეულია სიკვდილის მიმართ ნებისმიერი საკითხიდან გამომდინარე და აქვთ უარყოფითი აზრები და ემოციები, იყენებენ ნეგატიურიი იუმორის სტილს – თვითგამანადგურებელს, რომელიც გულისხმობს იუმორის, როგორც თვითდამაკნინებლად და საკუთარი თავის დამამცირებლად გამოყენებას. რნიკის კვლევაში აღმოჩნდა, რომ თვითგამანადგურებელი იუმორის სტილი დადებითად უკავშირდება კოგნიტურ შეცდომებს, რაც გამოიხატება იმით, რომ ასეთი ადამიანები მიდრეკილები არიან, ცხოვრებას და მის შესახებ საკითხებს უყურონ უარყოფითად, მათი აზრები თითქმის ყოველთვის ნეგატიურია (Rnic et al., 2016), ეს კი გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სიკვდილის შესახებ აზრებიც ნეგატიური ექნებათ და მათში შიშს გამოიწვევს.

ვარაუდისგან განსხვავებული შედეგი გამოვლინდა სიკვდილის თავიდან არიდებასა და აგრესიული იუმორის *(r=-.13, n=305, p<.05)* სტილს შორის კავშირის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მაღალი სიკვდილის არიდების დამოკიდებულების მქონე ადამიანს აგრესიული იუმორის სტილის გამოყენების დაბალი დონე აქვს. ეს შედეგი დამაფიქრებელია და გვაძლევს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, კერძოდ, აგრესიული იუმორის სტილის მქონე ადამიანები არიან აგრესიულები, ძირითადად მათი სარკაზმი ადამიანების გაღიზიანებისკენაა მიმართული და არ უფრთხილდებიან სხვების ემოციებს (Martin et al., 2003), ხოლო სიკვდილის შესახებ

ISSN2667-9825(online)

ფიქრების თავიდან ამრიდებელი ტიპის ადამიანები უფრო მეტად ემოციურები და მგრძნობიარეები არიან და სწორედ ამიტომ ვერ უმკლავდებიან სიკვდილის შესახებ ფიქრებსაც. შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ესეთი ადამიანები ანგარიშს უწევენ სხვების ემოციებსაც და ამიტომ ნაკლებად იყენებენ აგრესიული იუმორის სტილს.

მოსალოდნელი შედეგი გამოვლინდა გაქცევის მიმღებლობის კავშირზე აფილაციური *(r=-.18, n=305, p<.01)* და თვითგამანადგურებელი *(r=.17, n=305, p<.01)* იუმორის სტილებთან მიმართებით. გაქცევის მიმღებლობის ტიპის ადამიანი, რომლისთვისაც სიკვდილი ამქვეყნიური ტანჯვისგან გაქცევის საშუალებაა, ნაკლებად მიმართავს აფილაციურ იუმორს, მაგრამ იყენებს თვითგამანადგურებელს. ეს შედეგი განსხვავდება წინა კვლევებში მიღებული მონაცემებისგან, კერძოდ ოკერის კლვევაში აღმოჩნდა, რომ გაქცევის მიმღებლობის მქონე ადამიანები იყენებდნენ იუმორს, რაც ახნილი იყო, იუმორის დაძლევის სტილის გამოყენებით (Oker et al., 2022). ჩვენი კვლევის შედეგად კი აფილაციური იუმორი (რომელიც ახლოს დგას იუმორის დაძლევის სტილთან) უარყოფითად უკავშირდება გაქცევის მიმღებლობას, რაც ლოგიკურია, რადგან გაქცევის მიმღებლობის მქონე ადამიანები არიან უიმედოები, უბედურები (Gesser et al., 1988) და უბრალოდ ცხოვრებიდან „გაქცევას“ ცდილობენ, ხოლო აფილაციური იუმორის სტილის მქონეები არიან ბედნიერები და ცხოვრებით კმაყოფილები (Ford et al., 2014), ასევე, აფილაციური იუმორით ადამიანები აყალიბებენ ურთიერთობებს გარშემომყოფებთან, ხოლო გაქცევის მიმღებლობის მქონე ადამიანებს საეჭვოა, ეს კავშირები და, ზოგადად, ამქვეყნიური ურთიერთობები აინტერესებდეთ.

რაც შეეხება გაქცევის მიმღებლობის დამოკიდებულებისა და თვითგამანადგურებელი იუმორის სტილის დადებით კავშირს, აღსანიშნავია, რომ თვითგამანადგურებელი სტილის იუმორის მქონე ადამიანებს აქვთ დაბალი თვითშეფასება, ცხოვრებით კმაყოფილების დაბალი დონე და მიდრეკილები არიან კოგნიტური შეცდომებისკენ (Rnic et al., 2016). შესაბამისად, გაქცევის მიმღებლობის მქონე ადამიანები ამ სტილის გამოყენებას რომ მიმართავდნენ, არ არის გასაკვირი, რადგანაც ისინი იტანჯებიან ცხოვრებით, არ არიან მისით კმაყოფილები (Gesser et al., 1988) და იმდენად სასოწარკვეთილები არიან, რომ სიკვდილი ურჩევნიათ სიცოცხლეს და, რა თქმა უნდა, ცხოვრებას უყურებენ ნეგატიურად და იუმორის სტილსაც იყენებენ ნეგატიურს.

სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებები და სუბიექტური ბედნიერება

როგორც მოსალოდნელი იყო, სუბიექტური ბედნიერება პოზიტიურ კორელაციაში აღმოჩნდა სიკვდილის მიმართ ნეიტრალურ მიმღებლობასთან *(r=.18, n=305, p<.05),* კერძოდ, ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ თავს ბედნიერად, სიკვდილს აღიქვამენ როგორც უბრალოდ ცხოვრების ნაწილს, მისი არ ეშინიათ და არ ერიდებიან მასზე ფიქრს, სიკვდილს უყურებენ შედარებით პოზიტიურად. იგივე შედეგები აღმოჩნდა გესერის კვლევაში, რომელშიც ნეიტრალური მიმღებლობა არ უკავშირდება უიმედობას და ამ დამოკიდებულების მქონე ადამიანები იყვნენ პოზიტიურად დაკავშირებული ბედნიერებასთან (Gesser et al., 1988). ბედნიერი ადამიანები გამოხატავენ დადებით განწყობილებებს (Lyubomirsky & Tucker, n.d. 1998), შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ სიკვდილის მიმართ მათი დამოკიდებულებაც იყოს პოზიტიური.

ISSN2667-9825(online)

აქვე აღსანიშნავია, სიკვდილის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების, კერძოდ, სიკვდილის მოახლოების მიმღებლობის *(r=.13, n=305, p<.05)* კავშირი სუბიექტურ ბედნიერებასთან. სხვა სიტყვებით, ადამიანები, რომლებიც სიკვდილს აღიქვამენ, როგორც შემდგომი ბედნიერი ცხოვრებისკენ შესაბიჯებელ კარიბჭეს, ახასიათებთ სუბიექტური ბედნიერების მაღალი დონე. სუბიექტური ბედნიერება დაკავშირებულია იმედთან (Sariçam, 2015), ასევე, იმედის მაღალი დონე აღენიშნებათ სიკვდილის მოახლოების მიმღებლობის დამოკიდებულების მქონე ადამიანებს (Gesser et al., 1988), რადგან მათ აქვთ იმედი, რომ შემდეგი ცხოვრება უკეთესზე უკეთესი იქნება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეთი ადამიანები ცხოვრებას არ უყურებენ უიმედოდ და მათი კარგად ყოფნის ხარისხიც მაღალია, რაც გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ისინი განიცდიან სუბიექტურ ბედნიერებას და აქვთ იმედი, რომ შემდეგ ცხოვრებაში უფრო ბედნიერები იქნებიან, ეს კი მათ ამჟამინდელ ბედნიერებას არ ამცირებს, პირიქით, ზრდის.

ასევე, აღსანიშნავია კვლევისთვის მოულოდნელი შედეგი, კერძოდ, პოზიტიური კავშირი სუბიექტურ ბედნიერებასა და სიკვდილზე ფიქრების თავიდან არიდებას *(r=.13, n=305, p<.05)* შორის. ეს დადებითი ურთიერთობა შესაძლოა, აიხსნას სიკვდილის თავიდან არიდების დამოკიდებულების ბუნებით, კერძოდ, ამ ტიპის ადამიანები ცხოვრებას შესაძლოა, სულაც არ უყურებდნენ ნეგატიურად, უბრალოდ მათი სიკვდილის მიმართ ფიქრებია ნეგატიური და ამიტომ მათი თავიდან არიდება სურთ (P. Wong et al., 1994), სწორედ ამ უსიამოვნო ფიქრების თავიდან არიდების ტენდენციის გამო, ცხოვრებას უყურებენ პოზიტიურად, შესაბამისად, ისინი თავს სუბიექტურად ბედნიერად გრძნობენ.

კვლევაში მოსალოდნელი შედეგი აღმოჩნდა სიკვდილის მიმართ გაქცევის მიმღებლობასა *(r=-.37, n=305, p<.01)* და სუბიექტურ ბედნიერებას შორის უარყოფით კავშირზე. ადამიანებს, რომლებიც გაქცევის მიმღებლობის ტიპის არიან, აქვთ სუბიექტური ბედნიერების დაბალი დონე, ეს შედეგი ლოგიკურიცაა, რადგან ასეთი ადამიანები იტანჯებიან ცხოვრებით და სიკვდილი მათთვის „პოზიტიური“ მნიშვნელობის მატარებელიც სწორედ იმიტომაა, რომ ის მათთვის ამქვეყნიური ტანჯვისგან ხსნაა. გაქცევაზე ორიენტირებული მიმღებლობა დადებითად უკავშირდება უიმედობას (Gesser et al., 1988), შესაბამისად, უიმედო ადამიანები რომ სუბიექტური ბედნიერების განცდას არიან მოკლებული, გასაკვირი არაა. სუბიექტური ბედნიერება, ასევე, უკავშირდება კარგად ყოფნას (Lyubomirsky & Lepper, 1999), ხოლო გაქცევის მიმღებლობის მქონე ადამიანებს არ აღენიშნებათ კარგად ყოფნის მახასიათებლები.

იუმორი და სუბიექტური ბედნიერება

როგორც კლვევის ფარგლებში იქნა ნავარაუდევი, პოზიტიური იუმორის სტილები დადებით კორელაციაში აღმოჩნდა სუბიექტურ ბედნიერებასთან. როდესაც ადამიანი იყენებს აფილაციურ *(r=.25, n=305, p<.01)* და თვითგამაძლიერებელი *(r=.29, n=305, p<.01)* იუმორის სტილს, მისი სუბიექტური ბედნიერების დონეც არის მაღალი. აფილაციური და თვითგამაძლიერებელი

ISSN2667-9825(online)

იუმორის სტილის მქონე ადამიანები არიან მხიარულები, ცდილობენ გარშემომყოფებისა და საკუთარი თავის გამხიარულებას, ისინი ცხოვრებისეულ სტრესსა და პრობლემებს უმკლავდებიან იუმორის საშუალებით, შესაბამისად, ლოგიკურია მათი კავშირი სუბიექტურ ბედნიერებასთან და არსებობს ამ კავშირის მხარდამჭერი კლვევებიც. კერძოდ, ფორდი ადასტურებს აფილაციური და თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილების კავშირს ბედნიერებასთან (Ford et al., 2014). იგივე კავშირი აღმოჩნდა ემანუელ მაბიასის კლვევაში, რომელშიც იუმორის პოზიტიური სტილები მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებდნენ სუბიექტურ ბედნიერებას (Emmanuel Mabia et al., 2021). აღმოჩნდა, რომ სოციალური უნარები დაკავშირებულია სუბიექტურ ბედნიერებასთან (Argyle & Lu, 1990), აღსანიშნავია, რომ აფილაციურ იუმორს იყენებენ, ასევე, სოციალური კავშირების ჩამოსაყალიბებლად, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანები ამ სტილს ირჩევენ სოციალური ურთიერთობების გასაღრმავებლად, ამით კი მათი სუბიექტური ბედნიერების დონეც იზრდება. აგრეთვე, მხიარული ადამიანები იყენებენ თვითგამაძლიერებელი და აფილაციური იუმორის სტილს, მათ შეუძლიათ როგორც საკუთარი თავის გამხიარულება, ისე – გარშემომყოფებისაც, რაც ზრდის მათი სუბიექტური ბედნიერების აღქმას (Yue et al., 2016). შესაბამისად, მხიარული ადამიანები არიან ბედნიერები და ისინი იყენებენ იუმორის პოზიტიურ სტილებს.

აღსანიშნავია უარყოფითი კავშირი სუბიექტურ ბედნიერებასა და თვითგამანადგურებელ იუმორის სტილს *(r=-.13, n=305, p<.05)* შორის. შეგვიძლია დავასკნათ, რომ ადამიანები, რომლებიც იუმორს იყენებენ, როგორც სხვების გასამხიარულებლად საკუთარი დამცირების ხარჯზე, თავს ნაკლებად ბედნიერებად გრძნობენ. მსგავსი შედეგი გამოვლინდა მაბიასის კლვევაში, რომელშიც თვითგამანადგურებელი იუმორის სტილი ნეგატიურად დაკავშირებული აღმოჩნდა სუბიექტურ ბედნიერებასთან (Emmanuel Mabia et al., 2021). ამ სტილის ადამიანებს აქვთ საკმაოდ დაბალი თვითშეფასება და კონტროლის შიდა ლოკუსი (Ford et al., 2016), შესაბამისად, არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებული და არიან შფოთვისკენ მიდრეკილი, ეს ყოველივე კი მათი სუბიექტური ბედნიერების აღქმას უშლის ხელს. თვითგამანადგურებელი იუმორი დადებითად უკავშირდება დეპრესიას და ცუდ გუნება-განწყობილებას (Martin et al., 2003), ცხადია, ასეთ ადამიანებს უჭირთ სუბიექტური ბედნიერების დონის ამაღლება.

რეგრესიული ანალიზისგან მიღებული შედეგების მიხედვით, სუბიექტურ ბედნიერებას წინასწარმეტყველებს პოზიტიური იუმორის სტილები, კერძოდ, აფილაციური *(β=.14, n=305, p<.05)* და თვითგამაძლიერებელი *(β=.22, n=305, p< .01),* ხოლო ამ ცვლადებიდან ყველაზე მეტად სუბიექტური ბედნიერების პრედიქტორია თვითგამაძლიერებელი იუმორი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ იუმორის პოზიტიურ სტილებს, არიან უფრო მეტად ბედნიერები. მსგავსი შედეგი აღმოჩნდა ფორდის კვლევაში, კერძოდ, ინდივიდების მიერ იუმორის ადაპტაციური სტილების გამოყენება ხელს უწყობდა მათი სუბიექტური ბედნიერების აღქმას (Ford et al., 2016). ადამიანები, რომლებიც იყენებენ იუმორის პოზიტიურ სტილებს არიან ბედნიერები, რადგან იუმორისტულ შეხედულებას ინარჩუნებენ ცხოვრებაზე, უყურებენ უბედურებებს იუმორისტული პერსპექტივიდან და იყენებენ იუმორს ინტერპერსონალურ გარემოში, სოციალური ურთიერთობების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ISSN2667-9825(online)

დასკვნა

კვლევის მიზანი იყო, დაედგინა კავშირები სიკვდილის მიმართ დამოკიდებულებების ტიპებს, იუმორის სტილებსა და სუბიექტურ ბედნიერებას შორის.

პირველი ჰიპოთეზა, რომელიც გულისხმობდა, რომ თუ ინდივიდს აქვს რომელიმე პოზიტიური სტილი, მაშინ მისი სიკვდილის მიმართ დამოკიდებულება იქნება პოზიტიური, გარდა სიკვდილის მიმართ გაქცევის მიმღებლობისა, ასევე, დადებითად დაუკავშირდებოდა სუბიექტურ ბედნიერებას, ძირითადად გამართლდა, კერძოდ, ერთ-ერთი სიკვდილის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება – ნეიტრალური მიმღებლობა დადებითად დაკავშირებული აღმოჩნდა იუმორის პოზიტიურ სტილებთან, კერძოდ, აფილაციურ და თვითგამაძლიერებელ სტილთან, ასევე, პოზიტიური კავშირი აღმოჩნდა სუბიექტურ ბედნიერებასთან.

მეორე ჰიპოთეზა, რომელიც ეხებოდა გაქცევის მიმართ მიმღებლობის უარყოფით კავშირს იუმორის პოზიტიურ სტილთან და დადებით კავშირს იუმორის ნეგატიურ სტილთან, გამართლდა. კერძოდ, აფილაციურ იუმორთან აღმოჩნდა უარყოფითი კავშირი, ასევე, გამართლდა, ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ თვითგამანადგურებელი იუმორის სტილი პოზიტიურადაა დაკავშირებული გაქცევის მიმღებლობასთან.

მესამე ჰიპოთეზა, კერძოდ, თუ ინდივიდს აქვს იუმორის რომელიმე ნეგატიური სტილი, მაშინ მისი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ იქნება ნეგატიური, ნაწილობრივ გამართლდა. სიკვდილის მიმართ შიშის მქონე ადამიანებს აღმოაჩნდათ ნეგატიური იუმორის სტილის, თვითგამანადგურებელი იუმორის, მაღალი დონე, მაგრამ, ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოვლინდა კვლევისგან მოულოდნელი შედეგი სიკვდილის მიმართ შიშისა და თვითგამაძლიერებელი იუმორის დადებით კავშირზე. ასევე ჰიპოთეზისგან რადიკალურად განსხვავებული შედეგი აღმოჩნდა სიკვდილის თავიდან არიდების კავშირებზე, კერძოდ, მის უარყოფით ურთიერთობაზე აგრესიულ იუმორთან და დადებით კავშირზე თვითგამაძლიერებელი იუმორის სტილთან.

რაც შეეხება მეოთხე ჰიპოთეზას, რომელიც გულისხმობდა, ინდივიდის მიერ იუმორის პოზიტიური სტილების გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელიც მის სუბიექტური ბედნიერების აღქმას გაზრდიდა, მოიპოვა ემპირიული მხარდაჭერა, როგორც კორელაციური, ისე რეგრესიული სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით, კერძოდ, სუბიექტურ ბედნიერებასა და იუმორის პოზიტიურ სტილებს შორის, არა მხოლოდ დადებითი კავშირია, არამედ იუმორის პოზიტიურ სტილებს შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ სუბიექტური ბედნიერება.

მეხუთე ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც თუ ინდივიდი იყენებს რომელიმე ნეგატიურ იუმორის სტილს, მაშინ მისი სუბიექტური ბედნიერების დონე იქნება დაბალი, გამართლდა. აღმოჩნდა უარყოფითი კავშირი თვითგამანადგურებელი იუმორის სტილსა და სუბიექტურ ბედნიერებას შორის.

ISSN2667-9825(online)

მეექვსე ჰიპოთეზა, რომელიც გულისხმობს, რომ სიკვდილის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებები, გარდა გაქცევის მიმღებლობისა, დადებითადაა დაკავშირებული სუბიექტურ ბედნიერებასთან, ხოლო გაქცევის მიმღებლობა უარყოფითად, ჰიპოთეზის ორივე ნაწილი გამართლდა. სიკვდილის მიმართ ნეიტრალური და მოახლოების მიმღებლობის მქონე ადამიანებს აღმოაჩნდათ სუბიექტური ბედნიერების მაღალი დონე, რაც შეეხება გაქცევის მიმღებლობას, უარყოფითი კავშირი გამოვლინდა სუბიექტურ ბედნიერებასთან.

დაბოლოს, მეშვიდე ჰიპოთეზა, რომელიც მოიაზრებდა სიკვდილის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებების უარყოფით კავშირს სუბიექტურ ბედნიერებასთან, არ გამართლდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საპირისპირო შედეგი გამოვლინდა სიკვდილის ნეგატიური დამოკიდებულების ტიპის, კერძოდ, სიკვდილის შესახებ ფიქრების თავიდან ამრიდებლის დადებით კავშირზე სუბიექტურ ბედნიერებასთან.

კვლევის შეზღუდვები

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, შეზღუდვად შეგვიძლია დავასახელოთ, რომ კვლევა ჩატარდა დისტანციურად, რაც შეუძლებელს ხდიდა პირდაპირი ინსტრუქციის მიცემას, ეს კი მნიშვნელოვნად შეამცირებდა კვლევის ფარგლებში არსებულ უზუსტობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

Abdel-Khalek, A. M. (2005). Happiness and Death Distress: Two Separate Factors. Death Studies, 29(10), 949–958. https://doi.org/10.1080/07481180500299394

Argyle, M., & Lu, L. (1990). Happiness and social skills. Personality and Individual Differences, 11(12), 1255–1261. https://doi.org/10.1016/0191-8869(90)90152-H

Chen, G.-H., & Martin, R. A. (2007). A comparison of humor styles, coping humor, and mental health between Chinese and Canadian university students. Humor – International Journal of Humor Research, 20(3). https://doi.org/10.1515/HUMOR.2007.011

Clements, R., & Rooda, L. A. (2000). Factor Structure, Reliability, and Validity of the Death Attitude Profile-Revised. OMEGA - Journal of Death and Dying, 40(3), 453–463. https://doi.org/10.2190/XFF0-C6UA-58PC-PHPB

Edwards, K. R., & Martin, R. A. (2014). The Conceptualization, Measurement, and Role of Humor as a Character Strength in Positive Psychology. Europe's Journal of Psychology, 10(3), 505–519. https://doi.org/10.5964/ejop.v10i3.759

ISSN2667-9825(online)

Emmanuel Mabia, C., Edwin Nwafor, C., Okonkwo, K. I., A. Nwankwo, E., Kandilichukwu Officha, P., Nweke, K. O., Uche Ezeakabekwe, S., Chineze Enike, T., Udensi, C., & Henry Eweni, I. (2021). Happiness among Undergraduates: What is the Role of Humour Styles? Asian Research Journal of Arts & Social Sciences, 51–58. https://doi.org/10.9734/arjass/2021/v15i230256

Freud, S. (2015). Beyond the pleasure principle. Psychoanalysis and History, 17(2), 151-204.

Ford, T. E., Lappi, S. K., & Holden, C. J. (2016). Personality, humor styles and happiness: Happy people have positive humor styles. Europe's Journal of Psychology, 12(3), 320–337. https://doi.org/10.5964/ejop.v12i3.1160

Ford, T. E., McCreight, K. A., & Richardson, K. (2014). Affective Style, Humor Styles and Happiness. Europe's Journal of Psychology, 10(3), 451–463. https://doi.org/10.5964/ejop.v10i3.766

Gesser, G., Wong, P. T. P., & Reker, G. T. (1988). Death Attitudes across the Life-Span: The Development and Validation of the Death Attitude Profile (DAP). OMEGA - Journal of Death and Dying, 18(2), 113–128. https://doi.org/10.2190/0DQB-7Q1E-2BER-H6YC

He, Y., & Li, T. (2022). Death Attitudes and Death Anxiety Among Medical Interns After the 2020 Outbreak of the Novel Coronavirus. Frontiers in Psychology, 13, 698546. https://doi.org/10.3389/fpsyg.2022.698546

Heidari, F., Amiri, A., & Amiri, Z. (2016). The Effect of Person-Centered Narrative Therapy on Happiness and Death Anxiety of Elderly People. Asian Social Science, 12(10), 117. https://doi.org/10.5539/ass.v12n10p117

Jiang, Q. (2022). Psychological support and demand for death education among Chinese college students during the COVID -19 pandemic: The mediating role of neutral death attitude. Nursing Open, nop2.1292. https://doi.org/10.1002/nop2.1292

Kazarian, S. S., & Martin, R. A. (2004). Humour styles, personality, and well-being among Lebanese university students. European Journal of Personality, 18(3), 209–219. https://doi.org/10.1002/per.505

Kazarian, S. S., & Moghnie, L. (n.d.). Perceiv ed Parental Warmth and Rejection in Childhood as Predictors of Humor Styles and Subjective Happiness. 23.

Kim, H. S., & Plester, B. A. (2019). Harmony and Distress: Humor, Culture, and Psychological Well-Being in South Korean Organizations. Frontiers in Psychology, 9, 2643. https://doi.org/10.3389/fpsyg.2018.02643

Lambert South, A., Elton, J., & Lietzenmayer, A. M. (2022). Communicating death with humor: Humor types and functions in death over dinner conversations. Death Studies, 46(4), 851–860. https://doi.org/10.1080/07481187.2020.1716883

ISSN2667-9825(online)

Lei, L., Zhao, H., Ran, L., Wang, L., & Luo, Y. (2022). Influencing factors of attitudes towards death and demands for death education among community-dwelling Chinese older adults: A cross-sectional study. BMC Public Health, 22(1), 1242. https://doi.org/10.1186/s12889-022-13655-2

Lyubomirsky, S., & Lepper, H. S. (1999). [No title found]. Social Indicators Research, 46(2), 137–155. https://doi.org/10.1023/A:1006824100041

Lyubomirsky, S., & Tucker, K. L. (n.d.). Implications of Individual Differences in Subjective Happiness for Perceiving, Interpreting, and Thinking About Life Events. 32.

Martin, R. A., Puhlik-Doris, P., Larsen, G., Gray, J., & Weir, K. (2003). Individual differences in uses of humor and their relation to psychological well-being: Development of the Humor Styles Questionnaire. Journal of Research in Personality, 37(1), 48–75. https://doi.org/10.1016/S0092-6566(02)00534-2

Müller, L., & Ruch, W. (2011). Humor and strengths of character. The Journal of Positive Psychology, 6(5), 368–376. https://doi.org/10.1080/17439760.2011.592508

O'CONNELL, WALTER E. (1968). HUMOR AND DEATH. Psychological Reports, 22(2), 391–402. doi:10.2466/pr0.1968.22.2.391

Oker, K., Reinhardt, M., & Schmelowszky, Á. (2022). Effects of COVID-19 on Mental Health and Its Relationship With Death Attitudes and Coping Styles Among Hungarian, Norwegian, and Turkish Psychology Students. Frontiers in Psychology, 13, 812720. https://doi.org/10.3389/fpsyg.2022.812720

Rnic, K., Dozois, D. J. A., & Martin, R. A. (2016). Cognitive distortions, humor styles, and depression. Europe's Journal of Psychology, 12(3), 348–362. https://doi.org/10.5964/ejop.v12i3.1118

Sariçam, H. (2015). Felicidad y esperanza subjetiva. Universitas Psychologica, 14(2), 10.

Thorson, J. A. (1985). A funny thing happened on the way to the morgue: Some thoughts on humor and death, and a taxonomy of the humor associated with death. Death Studies, 9(3–4), 201–216. https://doi.org/10.1080/07481188508252518

Wang, Y., Tang, S., Hu, X., Qin, C., Khoshnood, K., & Sun, M. (2022). Gender Differences in Attitudes Toward Death Among Chinese College Students and the Implications for Death Education Courses. OMEGA - Journal of Death and Dying, 85(1), 59–74. https://doi.org/10.1177/0030222820934944

Wong, P., Reker, G., & Gesser, and. (1994). The Death Attitude Profile Revised: A multidimensional measure of attitudes towards death (pp. 121–148).

Wong, P. T. P., & Tomer, A. (2011). Beyond Terror and Denial: The Positive Psychology of Death Acceptance. Death Studies, 35(2), 99–106. https://doi.org/10.1080/07481187.2011.535377

ISSN2667-9825(online)

Xu, F., Huang, K., Wang, Y., Xu, Y., Ma, L., & Cao, Y. (2019). A Questionnaire Study on the Attitude towards Death of the Nursing Interns in Eight Teaching Hospitals in Jiangsu, China. BioMed Research International, 2019, 1–8. https://doi.org/10.1155/2019/3107692

Yılmaz, B., & Tuncer, N. (2021). EXAMINING THE RELATIONSHIP BETWEEN TEACHERS' AND PRESERVICE TEACHERS' SENSE OF HUMOUR AND ATTITUDE TOWARD DEATH. 8(1), 18.

Yue, X. D., Leung, C.-L., & Hiranandani, N. A. (2016). Adult Playfulness, Humor Styles, and Subjective Happiness. Psychological Reports, 119(3), 630–640. https://doi.org/10.1177/0033294116662842